24/10/2024

MES 0 24 0001376291

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა:
სპარტაკ გოგიტიძე - სკოლის დირექტორი;
ნინელი მიქაძე - სკოლის დირექტორის მოადგილე

სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარ ო სკოლა:
ვახტანგი ჯანჯღავა - სკოლის დირექტორი

სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა:
ნანა მენაბდე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა:
ლენა გომართელი - სკოლის დირექტორი

სპს სკოლა - ლიცეუმი პრომეთე:

ნატალია ბეიტრიშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე;
ია ქურიძე - სკოლის იურისტი

სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლა:
ეკატერინე დოლიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა:
ლევან ღურწკაია - სკოლის დირექტორი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა:
სალომე სარალიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა:

ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა ფაილაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარ ო სკოლა:

ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) აკაკი სადუნიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა მსხილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა:

ა) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევანი ბერუაშვილი(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა:

ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) აკაკი სადუნიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სპს სკოლა - ლიცეუმი პრომეთე:
ა) ირმა ამირანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სპს სკოლა - ლიცეუმი პრომეთე:
ა) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ამირანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N 1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N 1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N 1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, სპს სკოლა-ლიცეუმ პრომეთეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და სპს სკოლა- ლიცეუმ პრომეთეს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხები განეხილათ პირველ და მეორე საკითხად, ვინაიდან, ექსპერტები, ნინო თაბაგარი და ირმა ამირანაშვილი ობიექტური მიზეზების გამო, მოგვიანებით ვერ შეძლებდნენ პრეზენტაციის წარმოდგენას საბჭოსთვის.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

1. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N 1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N 1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N 1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ელი და მე-2 საკითხები გაერთიანებულ ფორმატში განიხილებოდა, რადგან შეეხებოდა ერთი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხებს.

1. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 02 სექტემბერს, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების ვიზიტი განხორციელდა 03 სექტემბერს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადებები.

ნინო თაბაგარის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის N477252 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 920 მოსწავლით. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულება ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას და 1200-ით განსაზღვრას.რაც შეეხებოდა მისამართის/ფართის ცვლილებას, ექსპერტის განმარტებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი, IV ბ მ/რ, ნაკვეთი 08/017-ში და ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არსებულ შენობას მიაშენა ფლიგელი, სადაც განათავსა და დაიმატა ოთხი საკლასო ოთახი.

ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა, წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და ისაუბრა სკოლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდათ სრულად აღჭურვილი სამუშაო გარემო, ასევე, ფუნქციონირებდა ლაბორატორია, სადაც ბავშვები ცვლიდნენ იდეებს, ახორციელებდნენ პროექტებს (საქველოქმედო პროექტები, ეკო პროექტები, საველე დღიურები, "საზღვრებს გარეთ დარჩენილი საქართველო" და სხვა). მოსწავლეები აწყობდნენ საქველმოქმედო ღონისძიებებს, რისთვისაც დამოუკიდებლად ადგენდნენ ბიუჯეტს. ექსპერტის თქმით, საბაზო საფეხურის მოსწავლეები ეცნობოდნენ პროფესიული სასწავლებლების მიერ შეთავაზებულ პროგრამებს, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეები ახორციელებდნენ პროექტებს, ფინანსური წიგნიერების ფარგლებში. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა წახალისების სისტემა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მოსწავლეებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული წარმოებების ფარგლებში დაევალა დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) პირობების შესრულების შემოწმება. ექსპერტის თქმით, აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიმართ გაიცა გარკვეული რჩევები, რომელებიც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სამედიცინო პერსონალი ჰყავდა სკოლას.

სკოლის იურისტის, ია ქურიძის განმარტებით, სკოლას ჰყავდა ერთი ექიმი, ხოლო მეორე ექიმის აყვანისთვის გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მიმდინარე წლის 17 და 18 სექტემბრის საკონკურსო კომისიის ოქმები, სადაც არ იყო მდივნის ხელმოწერა და დაინტერესდა, რა იყო აღნიშნულის მიზეზი.

სკოლის დირექტორის მოადგილის, ნატალია ბეიტრიშვილის განმარტებით, მდივანი მონაწილეობას იღებდა ოქმების შედგენაში, თუმცა ხელმოწერასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი და გამოასწორებდნენ აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. სპს სკოლა-ლიცეუმ პრომეთეს მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილებისსაკითხი;
2. სპს სკოლა-ლიცეუმ პრომეთეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისადა 1200-ითგანსაზღვრის საკითხი.

სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 18 ოქტომბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:25
დასრულების დრო - 16:31

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 პუნქტისშესაბამისად, განხორციელდეს სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს (ს/კ: 209463659) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შემდეგ მისამართზე:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი, IV ბ მ/რ, ნაკვეთი 08/017
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი, IV ბ მ/რ, ნაკვეთი 08/017
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი, IV ბ მ/რ, ნაკვეთი 08/017

აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 18 ოქტომბერი.

2. გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სპს სკოლა - ლიცეუმ პრომეთეს (ს/კ: 209463659) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით.
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 18 ოქტომბერი.

3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.2, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 და 2.1 (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) კომპონენტები შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახლადრეაბილიტირებული, ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, მოვლილი და მოწესრიგებული საკლასო ოთახები და დერეფნები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. ასევე, ექსპერტის თქმით, ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის, სკოლას ჰქონდა ლიფტი და რესურს ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და რამ განაპირობა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სკოლის დირექტორის, სპარტაკ გოგიტიძის, განმარტებით, 2020 წელს შედგენილი ჰქონდა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თორმეტი მოსწავლე და შექმნილი იყო ინკლუზიური გარემო, ადაპტირებული სველი წერტილით, პანდუსებითა და ლიფტით, ასევე, სკოლას ჰქონდა რესურს ოთახი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, შინაარსობრივად და ენობრივად გაემართათ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილ მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმს სახელწოდებად ეწერა „ჩვენი საქართველო“, გარდა ამისა, არ იყო ასახული ინფორმაცია პრაქტიკული და შემოქმედებითი დავალებების შესახებ და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული მოსწავლის ქცევის წესები საჭიროებდა გადახედვას. საბჭოს წევრმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ზემოაღნიშნული საკითხების გაუმჯობესებისთვის დაეწყოთ მუშაობა.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, კლუბის, „მზის სხივები“, საქმიანობით და მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რა მიმართულებით ატარებდა აქტივობებს აღნიშნული კლუბი და რატომ ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული მოსწავლეების რაოდენობა.
სკოლის დირექტორის, სპარტაკ გოგიტიძის განმარტებით, „მზის სხივების“ კლუბი დაარსებული იყო გამომცემლობა „კვირის პალიტრასთან“ თანამშრომლობით და მათი მოთხოვნა იყო, რომ კლუბის საქმიანობაში ჩართული ყოფილიყო მხოლოდ 15 მოსწავლე.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას პერსონალის მართვის გეგმა დამტკიცებული.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:05
დასრულების დრო - 17:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლას (ს/კ: 237101989) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის	დაწყებითი	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ნასაკირალი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ოქტომბერში 3.3; 3.4; 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ექიმის კაბინეტის შირმით აღჭურვის, წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად დამუშავების და ვებ-გვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი და მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები.

4. სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო 1864 წელს. მისი თქმით, აღნიშნულ სკოლაში სწავლობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია და არნოლდ ჩიქობავა.

ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 2.1 და 2.2 კომპონენტები შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.5 კომპონენტი შეფასებული იყო „ნაწილობრივი“ შესაბამისობით. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ 3.4 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მოწესრიგებული სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი და რესურს ოთახი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, 300 მოსწავლის პირობებში, დასჭირდებოდა თუ არა სკოლას მეორე ცვლაში სწავლება.

ექსპერტის, თამარ აბაზაძის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი, რომ ერთ ცვლაში წარემართა სასწავლო პროცესი.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რეკომენდაცია, საიჯარო ხელშეკრულებები გაეფორმებინათ კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლის მობილობის წესში იყო ერთ-ერთი მუხლი, რომელიც ეხებოდა კერძო სკოლას და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაესწორებინათ აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ „მე და საზოგადოების“ სოლო ტაქსონომიის შეფასების ფორმა ზოგადი ხასიათის იყო და მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, აღნიშნული მიმართულებით, გაიცა თუ არა, მათი მხრიდან, რაიმე სახის რჩევა ან რეკომენდაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის, აკაკი სადუნიშვილის განმარტებით, ზემოაღნიშნული მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა გარკვეული რჩევები, ასევე, მისი თქმით, სკოლის წარმომადგენელს ჰქონდა სრული მზაობა,

გაეთვალისწინებინა და აღმოეფხვრა ის ხარვეზები, რაც იყო დაფიქსირებული ექსპერტების მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:25
დასრულების დრო - 17:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლას (ს/კ: 239885157) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სოფელი ძველი სენაკი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სოფელი ძველი სენაკი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი სოფელი ძველი სენაკი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ოქტომბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სკოლის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული ახალი შენობა-ნაგებობების რეგისტრაციის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სხვა სართულებზე გადაადგილებისთვის კიბეების ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

5. სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 03 და 04 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1000. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო სრულად ადაპტირებული. დაწესებულება ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და თემატიკის კვირეულს. სკოლაში

ასევე, შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი. ექსპერტის თქმით, სკოლის დირექტორი აქტიურად იყო ჩართული დაწესებულების საქმიანობაში და ზრუნავდა როგორც სასწავლო პროცესების, ასევე სასკოლო გარემოს კეთილმოწყობაზე. ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით პროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელისშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ ფარგლებში, ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეთათვის, მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად, სკოლაში გახსნილი იყო ინკლუზიური განათლების ცენტრი - კერამიკის, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების მიმართულებით. ცენტრი ემსახურებოდა, როგორც სკოლის ბაზაზე ჩარიცხულ სსსმ მოსწავლეებს, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას. შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონრებდა სსსმ და შშმ პირთათვის სპეციალური სივრცეები, სადაც იყო მრავალფეროვანი ინვენტარი და რესურსი. სკოლაში, ასევე, ინკლუზიური სწავლების ხელშესაწყობად შექმნილი იყო შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავდა მონიტორინგის შედეგებს და მუდმივად თანამშრომლობდა სპეციალური საჭიროების მასწავლებელთან. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა კვალიფიციური სპეციალური მასწავლებლები.

ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო სფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპულატაციის შესახებ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში წარმოდგენილი გარემოებები გაეთვალისწინებინა და საკლასო ოთახები მოეწყო მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, ხოლო ისეთი ტიპის კაბინეტები/ოთახები როგორიც იყო დარაჯის, დამლაგებლის, წიგნსაცავის, კანცელარიის, ბუღალტრის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის და ა.შ , განეთავსებინათ მეოთხე სართულზე.

ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი, მოვლილი და ადაპტირებული სასწავლო გარემო. სკოლაში იყო საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული წიგნებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რესურს ოთახი, სამხატვრო გალერეა, უცხო ენის კაბინეტი, საჭირო რესურსებით სრულად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორი იყო სკოლის მზაობა საკლასო ოთახების პირველ, მეორე და მესამე სართულებზე განთავსებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და საკლასო ოთახები განთავსდებოდა ძირითადად მეორე და მესამე სართულებზე.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ბრძანება არ იყო კანონმდებლობასთან თანხვედრაში, რადგან დაწესებულება ითხოვდა, რომ მასწავლებელს სცოდნოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ის დოკუმენტი, რომელიც იმ დროისთვის უკვე ძალადაკარგული იყო.

ასევე მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ ჰქონდათ მკაცრად განსაზღვრული, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონოდა მაგისტრის ხარისხი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მისია და ხედვა საჭიროებდა გადახედვას, რადგან მათში ასახული ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი. ასევე, სკოლას მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და დაეხვეწათ შეფასების რუბრიკები.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, ხოლო საბჭოს წევრების რჩევებსაც აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:06

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 246994686) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168

6. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 750. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 750 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში 2017 წლიდან ინერგებოდა მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა განათლების, მეცნიერებებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით, პროფესიული უნარების სააგენტოსა და საზოგადოებრივი კოლეჯების მხარდაჭერით. ასევე, პროფესიულ განათლებასთან ერთად, მოსწავლეები ეუფლებოდნენ მეწარმეობის უნარ-ჩვევებს. ექსპერტის თქმით, სკოლაში შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი, მაგალითად, STEM, Interact, TECH, რობოტიკის, სამოქალაქო განათლების, მეწარმეობის, ეკონომიკის და ა.შ.. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სამი მასწავლებელი (ინგლისურის, ქიმიისა და ბიოლოგიის) იყო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეულის წევრი და სკოლის დირექტორი იყო ლიდერობის ეროვნული პრემიის გრანპრის მფლობელი.

ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი, მოვლილი და ადაპტირებული სასწავლო გარემო. სკოლაში იყო შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი და სამედიცინო კაბინეტი.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.5 კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დიანტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა ექსპერტთა მხრიდან აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემული იყო რჩევა და სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნულს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მიმართა დაეზუსტებინა, როგორ შეძლო იქ დაგროვებული გამოცდილების გამოყენება სასწავლო პროცესში.
სკოლის დირექტორის, ლენა გომართელის განმარტებით, შეფასების სისტემა, რომელიც სკოლაში ინერგებოდა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:23
დასრულების დრო - 18:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 239402598) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. N1.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. N1.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ. N1.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებას თან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ოქტომბერში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პირველი სართულიდან მეორე სართულზე გადაადგილების საშუალების მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა იყვნენ მიმდინარე წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმაში. მისი განმარტებით, მოცემულ მომენტში, ცენტრში მიმდინარეობდა სკოლების მიერ გადასახდელი თანხის რევიზია და ხელახლა დაანგარიშება, შესაბამისად, სკოლების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, აღნიშნული სკოლების მონიტორინგის პერიოდი გადაედოთ მანამ, სანამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის

დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში არ განხორციელდებოდა ცვლილება მონიტორინგის საფასურთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

7. „სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 12 ოქტომბრის N1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლას (ს/კ: 212706936) 1-ელ და მე-3 სტანდარტებთან მიმართებით 2024 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის პერიოდი განსაზღვრულიყო მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N 1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N 1134249 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე. აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესდა კონფლიქტი. საბჭოს წევრის განცხადებით, ის სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში. საბჭოს წევრებმა შუამდგომლობა ერთხმად დააკმაყოფილეს.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა. მან განაცხადა რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისი N 36 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. ქუთაისში რ.თაბუკაშვილის ქ. N175-ში. დაწესებულება სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1500 მოსწავლე.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბრიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სკოლაში თვალშისაცემია თანამშრომლების მიკუთვნებულობის განცდა საკუთარი სკოლისადმი, მაღალი კომპეტენცია და სიახლეებისადმი ღიაობა.
რაც შეეხება სტანდარტს, პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება,
3.2. პერსონალის განვითარება- შეესაბამება
3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება
3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- შეესაბამება 3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება
3.7.ფინანსური რესურსები-შეესაბამება ექსპერტის განც
ხადებით, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი
2.1-კურიკულუმის შემუშავება -შეესაბამება;
2.1. კურიკულუმის განხორციელება - მეტწილად შეესაბამება;
2.3; კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება-შეესაბამება;
2.4-კურიკულუმის გდასინჯვა და რევიზია -შეესაბამება;

ექსპერტმა, მაკა ჭიაბრიშვილმა ასევე გააჟღერა დაფიქსირებული: რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაშია სკოლის მიეცა რეკომენდაცია, მისია და ხედვა გაემიჯნა ერთმანეთისგან, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს დაწესებულების რეალისტური, დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვა. (2023 წლის 4 სექტემბრამდე);
სკოლას უნდა შეექმნა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2023 წლის 8 სექტემბრამდე);
სკოლას უნდა განეთავსებინაცნობები პერსონალთა პირად საქმეში, საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ“(2023 წლის ნოემბრამდე);
სკოლას უნდა წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ექიმის კაბინეტში შირმის დადგმას. სკოლას უნდა წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.(2023 წლის დეკემბრამდე);

სკოლას უნდა ეწარმოებინა კომუნიკაცია ვებ გვერდის შექმნის მიზნით შესაბამის უწყებასთან, გამოეყოთ ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, განათავსებინა ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.(2023 წლის ნოემბრამდე);
სკოლას უნდა შეემუშავებინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი.(2023 წლის ოქტომბრამდე)
ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, წარმოადგინა ის ფოტო-მასალა, რაც შეაგროვეს ვიზიტის დროს და აღწერა რომ სკოლას გააჩნია სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მათ შორის არის ლიპტი, სასკოლო ბიბლიოთეკა და რესურსებით აღჭურვილი საკლასო ოთახები. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, რატომ ჰქონდათ მითითებული უფლების ჩამორთმევის ცნობების შესახებ ნოემბერი, ვინაიდან ამ დოკუმენტს სჭირდება 3 სამუშაო დღე. სკოლის წარმომადგენელმა, კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგმა , ნატალია თურქაძემ, განაცხადა, რომ ეს იყო ე.წ. თადარიგის დაჭერა მათი მხრიდან და მასწავლებელთა უმეტესობას უკვე წარდგენილი აქვს ცნობები.
საბჭოს წევრმა , მორის დანდურიშვილმა სკოლას მიმართა კითხვით. მოახდინეს თუ არა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ანალიზი, რომელიც 2023 წლამდე იყო შემუშავებული და შეასრულეს თუ არა მთიანად დაგეგმილი აქტივობები. დირექტორის მოადგილემ, ია კაშიამ განაცხადა რომ ძირითადად ყველა გეგმა შესრულებული ჰქონდათ , თუმცა იყო საკითხები რომელიც გადმოიტანეს შვიდწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმაში, ასეთი შემთხვევების მაგალითი იყო უცხო ენების მოთხოვნის გაზრდა სკოლაში, რომელიც წინა წლებში ვერ მოხერდა და ამ წლიდან დაიწყებდნენ განხორციელებას, მაგალითად დაამატებდნენ გერმალუნი ენას.
საბჭოს წევრმა მორის დანდურაშვილმა , სკოლის წარმომადგენელს კიდევ ერთი კითხვით მიმართა. მან აღნიშნა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტები - თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც მიღებული ჰქონდა სკოლას 2022 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. საინტერესო იყო ის თუ რამ განაპირობა ცენტრიდან თანხმობების გამოთხოვა.
დირექტორის მოადგილემ, ლელა გრძელიშვილმა განაცხადა, რომ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლების მიზნით, დასჭირდათ სხვადასხვა მონაცემის წარდგენა, რის გამოც მათ გამოითხოვეს თანხმობები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენლებს სხთოვა აეხსნათ თუ რა მექანიზმები გააჩნიათ პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის. რაზეც დირექტორის მოადგილემ, ლელა გრძელიშვილმა უპასუხა, რომ მხარდაჭერის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი კათედრები, სკოლაში მაღალ დონეზე იკვეთებოდა გუნდურობა, თანამშრომლობა,კრიტიკული მეგორბის ინსტიტუტის დანერგვა და ინოვაციური მეთოდების გათვალისწინება . მან, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად იწვევდნენ ტრენერს, რათა დახმარებოდნენ მასწავლებლებს.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი, მუშაობის დროს სად და როგორ გამოიკვეთა მასწავლებელთა მხარდაჭერა სკოლის მხრიდან. უცხოური ენების საგონრივმა ექსპერტმა, ნათია ლომთათიძემ აღწერა ინფორმაცია, რაც მან მიიღო ინტერვიუებიდან. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ისინი ერთად იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ საკუთარ აზრს და გამოცდილებას ერთმანეთს. სკოლამ ასევე გააგზავნა ინტერგრირებული გაკვეთილების გეგმები თანდარტული ფოტოსურათებით. ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ბლოგზე რომელშიც არის აქტიოვობები ასახული.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა უცხოური ენების საგონრივ ექსპერტს, ნათია ლომთათიძეს და სთხოვა აეხსნა თუ როგორ ხდებოდა სკოლაში მოსწვალეთა

მხარდაჭერა, რამდენად არის გაკვეთილები მოსწავლეზე ორიენტირებული და ითვალისწინებენ თუ არა მასწავლებელები მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა დასძინა რომ მასწავლებლები გასაუბრებების დროს ხშირად ახსენებდნენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებას, ასევე მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგემა და ადაპტირებული კომპლექსური დავალება, სადაც დეტალურად იყო აღწერილი მოსწავლის შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესები.
საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივმა ექსპერტმა, ნიკა უტალიშვილმა დაამატა, რომ შეფასების პროცესში გამოიკვეთა სკოლის აქტიური ჩართულობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლოი გეგმაში , რასაც ადასტურებდა წინა წლის გეგმები, კომპლექსური დავალებები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, შეფასების რუბრიკები და შემოქმედებითი ნამუშავრები, როგორიცაა კედლის გაზეთები, ბუკლეტები და სხვა. ის რეკომედაცია კი, რაც ექსპერტებმა მეორე სტანდარტში დაფიქსირებულ ხარვეზზე გასცეს, იყო ის რომ პროცესი, რომელსაც სკოლა ახორციელებდა მთლიანად, მიუხედავად იმისა ეს ეხებოდა თუ არა კომპლექსურ დავალებებს,მორგებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპეპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისი N 36 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ:212706936) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 5). საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:“

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შემდგომი პერიოდი;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.“

1. **„სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 13 სექტემბრის N1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 219985327) 1-ელ და მე-3 სტანდარტებთან მიმართებით 2024 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის პერიოდი განსაზღვრულიყო მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N 1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 სექტემბრის N 1140217 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26, 27 და 28 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ზუგდიდში, რუსთაველის ქ. N192 -ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000 მოსწავლე.

ექსპერტმა. ლელა ჯაშმა, წარმოადგინა სკოლის ძლიერი მხარე. მისი განმარტებით, საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით რგოლს წარმოადგენდა და განსაზღვრავდა სწავლა-სწავლების შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ მხარეს. კათედრების შეთანხმებული და ეფექტური მუშაობა დადებითად აისახებოდა სასწავლო პროცესზე. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სკოლაში პროექტულ სწავლებას - თავისი შინაარსით, თემატიკით, განხორციელების გზებით პროექტები მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული იყო. ასევე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. მისი განმარტებით, სკოლის კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. ექსპერტის განცხადებით, პირველი სტანდარტი, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები და 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისი.
რაც შეეხებოდა, მესამე სტანდარტს სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრსტრუქტურული მხარდაჭერა შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, 3.6 კომპონენტის მეტწილად შესაბამისობის საფუძველზე.
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება
3.2. პერსონალის განვითარება-შეესაბამება
3.3. პროცესის მართვა -შეესაბამება
3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება- შეესაბამება
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა-მეტწილად შეესაბამება
3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება
3.7. ფინანსური რესურსები- შეესაბამება
შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი,4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა, როგორც შესაბამისი. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელებიც დასკვნაში იყო ასახული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რამე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადგინდებოდა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოავლეობის შემსრულებელმა, განაცხადა, რომ მსგავსი დოკუმენტი სკოლას არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეზიარებინა ის პრაქტიკა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოავლეობის შემსრულებელმა, ლევან ღურწკაიამ, განაცხადა, რომ სკოლის რამდენიმე მასწავლებელი ჩართული იყო USADE- საბაზისო განათლების პროგრამაში, პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას უზიარებდნენ სკოლის სხვა მასწავლებლებს. ასევე, სკოლა ჩართული იყო ,,ახალი სკოლის მოდელში," რომლის ფარგლებშიც სამუშაო შეხვედრებით საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლები იღებდნენ დიდ ცოდნა-გამოცდილებას, რაც აისახებოდა სასწავლო პროცესის შედეგებზე.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, სკოლა ზრუნავდა, თუ არა, მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადაა, რომ მსგავსი პრაქტიკა სკოლას ამ ეტაპზე არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 219985327) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N4)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:“

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შემდგომი პერიოდი;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი სტანდარტის 1.1. და 1.2 კომპონენტები და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.“

1. **„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 19 სექტემბრის N1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 212708042) მე-2 და მე-3 სტანდარტებთან მიმართებით 2024 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის ფორმით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის პერიოდი განსაზღვრულიყო მას შემდეგ, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში განხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N 1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის N 1179050 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 7 და 8 ივნისს. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში, სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ცისფერყანწელების ქ.N6 /რუსთაველის გამზირი N9-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ექსპერტის განმარტებით, სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 2400 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, აღსანიშნავი იყო სკოლის მისწრაფება და გადადგმული ნაბიჯები გერმანული ენის სწავლების გაძლიერებისაკენ, რის გამოც ის თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. სკოლას მოპოვებული ჰქონდა ,,FIT” სტატუსი და გადასული იყო გაძლიერებული სტატუსის „DSD” სკოლის რანგში.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ და ინფრასტრუქტურულ ნაწილზე, წარმოადგინა ფოტო-მასალის სახით.
ექსპერტის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა: პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები-მეტწილად შესაბამისი, მესამე სტანდარტის 3.1,

3.3, 3.5, 3.6 , 3.7 მეტწილად შესაბამისი, მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი შესაბამისი, სამივე საფეხურის მეორე სტანდარტის კომპონენტის 2.2 -მეტწილად შესაბამისი.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე, რომელიც დეტალურად იყო გაწერილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იჯარასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ, სადაც იკვეთებოდა შეცდომა. სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ნებართვა ჰქონდა მოპოვებული 2022 წლის 13 სექტემბერს, სადაც ითხოვდა 3 წლიან ვადას, ხოლო ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ისევ 3 წლით უდებდა ხელშეკრულებას სკოლა მოიჯარეს, რაც არ იყო სწორი. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა, ატარებდა, თუ არა სკოლა საიჯარო ფრთის ინვენტარიზაციას იჯარით გაცემამდე. სკოლის დირექტორმა, სალომე სარალიძემ განაცხადა, რომ შეისწავლიდა აღნიშნულ დოკუმენტაციას, სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზი იყო დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაში. რაც შეეხებოდა ინვენტარიზაციის საკითხს, სკოლის დირექტორის თქმით, ინვენტარიზაცია ტარდებოდა იჯარის გადაცემის წინ და შემდეგაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 212708042) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:“

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოქმედ N99/ნ ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შემდგომი პერიოდი;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი; **მონიტორინგის ფარგლები:** მეორე სტანდარტი სრულად, მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5, 3.6 და 3.7 კომპონენტები.“

დღის წერსიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 19:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა